უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 5

20/3 წ. "01" 08

ქ.თბილისი

შპს - ახალი სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად;

3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო მხედველობაში არ იღებს ავტორიზაციის მაძიებლის იმ დოკუმენტს, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ;

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. საბჭომ მოისმინა, როგორც ავტორიზაციის ექსპერტების შეფასებები, აგრეთვე - ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირი ახსნა-განმარტებები დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით. ამასთან, საბჭოს სხდომის ფორმატში, ადგილზე იქნა გადამოწმებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტიცებულებები.

საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე წარმოადგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გამოარკვია, რომ შპს - ახალი სასწავლო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტს.

საბჭო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ იმ ხარვეზებს, რომლებიც ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა არგუმენტირებულად გაბათილებული. კერძოდ:

1. საბჭომ სრულად გაიზიარა 1.2 და 2.2 პუნქტებში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა და მიიჩნია, რომ

სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები დარღვეულია, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსების ნაწილი ისწავლება ერთსა და იმავე სემესტრში. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

2. საბჭოს მიაჩნია, რომ 1.3 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურულ პრობლემას, კერძოდ სასწავლო კურსის სილაბუსი შეიცავს განსხვავებულ ინფორმაციას საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესახებ, არ ირკვევა სტუდენტის რეალური დატვირთვა. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

3. საბჭომ მიიჩნია, რომ 1.4 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა არ განეკუთვნებოდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნათა კატეგორიას. საბჭოს ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი იყო მექანიკურად, სავარაუდოდ, სხვადასხვა პროგრამების კომპილაციის გზით და არა სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითებულია პროგრამისაგან განსხვავებული სემესტრები, სილაბუსებში მითითებულია სხვა საბაკალავრო პროგრამის დასახელება, უცხოენოვან საგანში სწავლების ენად მითითებულია ქართული. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

4. საბჭომ სრულად გაიზიარა 1.5 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა და მიიჩნია, რომ სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში მითითებული სემესტრული შეფასების კომპონენტი უნდა ყოფილიყო კრიტერიუმებად ჩაშლილი. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

5. საბჭომ გაიზიარა 1.9 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა და მიიჩნია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა შეიცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეფასების სისტემის შეუსაბამო შეფასებებს. კანონმდებლობის თანახმად, არსებობს მხოლოდ ორი (Fx - ვერ ჩააბარა და F - ჩაიჭრა) უარყოფითი შეფასება, რაც პროგრამით არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

6. საბჭომ მიიჩნია, რომ 1.10 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა არ განეკუთვნებოდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნათა კატეგორიას. საბჭომ მიიჩნია, რომ დაუშვებელი იყო ,,ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო" პროგრამაში გაუთვალისწინებელი ტურიზმის სპეციალიზაციის სწავლის

შედეგების ასახვა პრაქტიკის კომპონენტში. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

7. საბჭომ ერთხმად მიიჩნია, რომ 2.1 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა იყო ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა, რადგან დაუშვებელია პროგრამაზე დაშვებულ იქნეს ის პირი ვინც არ ფლობს პროგრამის ასათვისებლად შესაბამის კვალიფიკაციას. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

8. საბჭომ ერთხმად მიიჩნია, რომ 2.5 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა იყო ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა, საქართველოს კანონმდებლო არ ითვალისწინებს სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის სტატუსის აღდგენას. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ახალ სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404916203) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ივლისის - 1 აგვისტოს №1 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე